ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტების საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია

2024

27 მაისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი **2024 წლის 27 მაისს** ატარებს სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას. კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს.

კონფერენციის სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ღაღანიძე – თსუ-ის პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;

ვლადიმერ პაპავა – თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი;

ავთანდილ სილაგაძე – თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;

ელგუჯა მექვაბიშვილი – თსუ-ის პროფესორი, თსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორი;

რევაზ გოგოხია – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორის მოადგილე;

იური ანანიაშვილი – თსუ-ის პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;

თეიმურაზ ბერიძე – თსუ-ის პროფესორი;

სიმონ გელაშვილი – თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი

რევაზ გველესიანი – თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი;

ნუგზარ თოდუა – თსუ-ის პროფესორი, მაკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი;

ირაკლი კოვზანაძე – თსუ-ის პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი;

დავით ნარმანია – თსუ-ის პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი;

ლევან საბაური – თსუ პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი;

დემურ სიჭინავა – თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი;

მირიან ტუხაშვილი – თსუ-ის პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;

თემურ შენგელია – თსუ-ის პროფესორი; საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი;

ეთერ ხარაიშვილი – თსუ-ის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

იოსებ ხელაშვილი – თსუ-ის პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;

მანანა ლობჟანიძე– თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

მარინა ჩავლეიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

მერაბ ხოხობაია - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

თამაზ ზუბიაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი.

საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია

27 მაისი

კონფერენციის სამუშაო ენა:	ქართული
მიზნობრივი ჯგუფი	ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები
პრეზენტაციის რეგლამენტი:	10 წუთი
მნიშვნელოვანი თარიღები:	**17 მაისი - სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა** **20-24 მაისი - საკათედრო ეტაპი** **27 მაისი - ფინალური პრეზენტაცია**
კანდიდატების შერჩევა	კონფერენციაში მონაწილე კანდიდატები შეირჩევიან კონფერენციის საკონკურსო კომისიის მიერ, წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე
კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების დაჯილდოვება	კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები, ასევე, თითოეული მონაწილე დაჯილდოვდება სერტიფიკატით
სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაცია	სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდება კონფერენციის კრებულში

სამეცნიერო ნაშრომის გაფორმება:

სამეცნიერო ნაშრომის სათაური, სახელი, გვარი, უნივერსიტეტის დასახელება წარმოდგენილი უნდა იყოს ცენტრში; შრიფტი-Sylfaen, ინტერვალი 1.15, ფონტის ზომა 12. ნაშრომის მთლიანი მოცულობა ცხრილების, დიაგრამების და სხვა საილუსტრაციო მასალის ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს.

სამეცნიერო ნაშრომის ნიმუში:

ტურიზმის განვითარების რეგიონული პოლიტიკა საქართველოში

სტუდენტის სახელი, გვარი, კურსი

აბსტრაქტი

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური სექტორი, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. ცხადია, რომ ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს რეგიონების განვითარებაზე. ტურისტული აქტივობის ზრდა ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, გადასახადების გენერირებას, ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას. ტურიზმის ინდუსტრიას სტაბილურად განვითარებისათვის ჭირდება შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტიანად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რომელიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბით როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან დინამიკაში. საქართველოს როგორც ტურისტულ დანიშნულების ადგილს, განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. დინამიკაში საგრძნობლად იზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას როგორც ტურიზმის ინდუსტრიაში, ასევე მომიჯნავე სექტორებში. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის განვითარების რეგიონულ პოლიტიკასა და ეკონომიკურ ასპექტებზე. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ტრანსდისციპლინური მეთოდოლოგიით და მიდგომებით რეგიონული ჭრილი გაანალიზებულია თემზე დაფუძნებული ტურიზმის, ტურიზმის როგორც სიღარიბის დაძლევის, საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების განვითარებასა და არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, რეგიონული პოლიტიკა, ეკონომიკაზე ტურიზმის ზეგავლენა

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა:

1. **აბსტრაქტი** - კვლევის მიზანი, მეთოდოლოგიური ჩარჩო, პრაქტიკული შედეგები და ღირებულება;
2. **შესავალი** - თემის აქტუალურობის დასაბუთება, საკვლევი პრობლემის ფუნდამენტური ბაზისების ანალიზი;
3. **ტექსტის ძირითადი ნაწილი** - კვლევის შედეგების წარმოდგენა, ავტორის შეხედულებისამებრ შესაძლებელია ამ ნაწილში გამოიყოს კონკრეტული ქვეთავები;
4. **დასკვნები და რეკომენდაციები** - კვლევის შედეგების სიტემატიზაცია და შეჯამება;
5. **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა**

გამოყენებული ლიტერატურის ციტირება უნდა მოხდეს სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში APA ფორმატში შემდეგი სახით:

ერთი ავტორის შემთხვევაში: (Mitchell, 2017).

ორი ავტორის შემთხვევაში: (Mitchell & Smith, 2017).

ორზე მეტი ავტორის შემთხვევაში: (Mitchell et al, 2017).

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ანბანი თანმიმდევრობით უნდა მიეთითოს ჯერ ქართულ ენაზე, შემდეგ უცხო ენაზე.

გამოყენებული ლიტერატურის ნიმუში:

წიგნი:

Jones, A.F & Wang, L. (2011). *Spectacular creatures: The Amazon rainforest* (2nd ed.). San Jose, Costa Rica: My Publisher

ელექტრონული წიგნი:

Mitchell, J.A., Thomson, M., & Coyne, R.P. (2017). *A guide to citation*. Retrieved from https://www.mendeley.com/reference-management/reference-manager

სტატია ჟურნალში

Mitchell, J.A. (2017). Citation: Why is it so important. *Mendeley Journal, 67*(2), 81-95

Mitchell, J.A. (2017). Citation: Why is it so important. *Mendeley Journal, 67*(2), 81-95. Retrieved from https://www.mendeley.com/reference-management/reference-manager

ცხრილები, დიაგრამები და სხვა საილუსტრაციო მასალა უნდა დაინომროს თანმიმდევრულად

დიაგრამა 1



ცხრილი 1

საერთაშორისო ჩამოსვლები ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები	2014	2015	ცვლილება %
სომხეთი	1,325,635	1,468,888	10.8%
აზერბაიჯანი	1,283,214	1,393,257	8.6%
თურქეთ	1,442,695	1,391,721	-3.5%
-რუსეთ	811,621	926,144	14.1%
უკრაინა	143,521	141,734	-1.2%
ისრაელი	42,385	59,487	40.3%
პოლონეთი	46,314	41,425	-10.6%
გერმანია	33,446	36,826	10.1%
ყაზახეთი	28,394	36,777	29.5%
ა შ შ	28,272	31,147	10.2%
ბელარუსი	19,148	28,959	51.2%
ირანი	47,929	25,273	-47.3%
გაერთიანებული სამეფო	18,586	19,233	3.5%
საბერძნეთი	21,464	19,221	-10.5%

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

1.**მანანა ლობჟანიძე** - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

2.**მერაბ ხოხობაია** - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი

3.**ლალი ჩიკვილაძე** - ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი

4.**ნინო ლობჟანიძე** - ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საკონტაქტო პირი: მერაბ ხოხობაია, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი - 577 213 00